

სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემია

დისტანციური სწავლების ცენტრის კონცეფცია

## სარჩევი

შესავალი.....	3
აქტუალობა .....	4
დისტანციური სწავლების დანერგვის მიზნები და ამოცანები.....	5
დისტანციური სწავლების ცენტრის ფუნქციები.....	9
დისტანციური სწავლების ცენტრისის შექმნისთვის საჭირო პირველადი სამუშაოები .....	10
საწყისი სამუშაოების სტრუქტურა.....	11
დისტანციური სწავლების განვითარების პოტენციური მიმართულებები.....	11
ფინანსური სტრუქტურა .....	12
მოსალოდნელი შედეგები .....	13
ამოცანები და აქტივობები.....	14
ბიბლიოგრაფია.....	16

## შესავალი

დისტანციური სწავლება (ADL) განათლების მიწოდების თანამედროვე მეთოდია, რომელიც როგორც სამოქალაქო, ასევე სამხედრო განათლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი ხდება, ვინაიდან სწრაფი ტექნოლოგიური განვითარების ეპოქამ შეცვალა შრომის ბაზარი და შექმნა ახალი უნარების განვითარების საჭიროება. დისტანციური სწავლება ხელს უწყობს ხარისხიან, თანამედროვე და მოქნილ სასწავლო გარემოს, მრავალმხრივ ინფორმაციაზე წვდომის შესაძლებლობას, რაც თავისთავად უზრუნველყოფს განათლების მიღების ეფექტურ პროცესს.

დისტანციური სწავლება აერთიანებს ისეთ ტექნოლოგიებს როგორებიცაა: დისტანციური ინტერაქტიული კურსები, ვებინარები, ფორუმები, ვიდეო გაკვეთილები და ელექტრონული მასალების კატალოგები.

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია საქართველოს თავდაცვის ძალებში დისტანციური სწავლების დანერგვის (1) საჭიროებების / აქტუალობის; (2) მიზნების / ამოცანების; (3) თანმხვედრი ღონისძიებების; (4) ფინანსური მხარისა და (5) მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრა.

დისტანციური სწავლება შესაბამისობაში მოდის საქართველოს სტრატეგიულ დოკუმენტებთან, რომლებიც თავდაცვის სექტორში განათლებისა და პროფესიული ზრდის მნიშვნელობას ეხებიან. თვალსაჩინოებისთვის, საქართველოს ეროვნული სამხედრო სტრატეგიის თავდაცვითი შესაძლებლობების ნაწილში ხაზი ესმევა თავდაცვის ძალებში მოდერნიზაციისა და პროფესიონალიზმის ზრდას.<sup>1</sup> იქვე აღნიშნულია, რომ „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს სამოქალაქო და სამხედრო პერსონალის პროფესიონალიზმის ამაღლება პერსონალის მართვის ეფექტიანი სისტემების ინსტიტუციონალიზაციით.“

თანამედროვე სამყაროში სწავლება მოიაზრებს შემდეგ კლასებს:

- ტრადიციული (საკლასო) სწავლება (face to face);
- დაშორებული საკლასო სწავლება (Distance face to face);
- გამდიდრებული საკლასო სწავლება (Enriched face to face);

<sup>1</sup> საქართველოს ეროვნული სამხედრო სტრატეგია, 2014. გვ. 7

- შერეული საკლასო სწავლება (Blended);
- დისტანციური სწავლება (Distance);
- თვითსწავლება (Self).

### აქტუალობა

თანამედროვე ეპოქაში სამხედრო მიმართულებით დისტანციური სწავლების დანერგვის აქტუალობას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს. მაგალითისთვის შესაძლებელია რამდენიმე მათგანის მიმოხილვა:

1. სამხედრო საქმის განვითარების დინამიური ცვლილებები ითხოვს იმ პროფესიული ცოდნისა და უნარების მუდმივ სრულყოფას, რომელიც უნდა გააჩნდეს პროფესიონალ სამხედრო მოსამსახურეს. ამისათვის საჭიროა უწყვეტი სწავლების როლის გაზრდა თავდაცვის ძალებში;
2. თანამედროვე გამოწვევები ითხოვს მაღალკვალიფიციურ პერსონალს. პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისთვის მიზანშეწონილია თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება;
3. საკონტრაქტო ჯარის პირადი შემადგენლობის ცოდნა, უნარ-ჩვევების ამაღლებისთვის საჭიროა თანამედროვე, მოქნილი და ეფექტური საგანმანათლებლო პროცესი;
4. დისტანციური სწავლება გაზრდის განათლების მიღების ხელმისაწვდომობას და ხელს შეუწყობს სამხედრო მოსამსახურის უწყვეტი განვითარების შესაძლებლობას;
5. დისტანციური სწავლება იძლევა სასწავლო პროცესების და მასალების მოქნილი განახლებისა და მიწოდების შესაძლებლობას;
6. დისტანციური სწავლება ამცირებს სასწავლო პროცესის, ადმინისტრირების, ორგანიზების და უზრუნველყოფის როგორც ფინანსურ, ისე დროით და ადამიანური რესურსების ხარჯებს;
7. დისტანციური სწავლება შესაძლებელია განვიხილოთ რეზერვის მომზადებისთვისაც. სარეზერვო ძალების გადამზადებისას დისტანციური სწავლების კომპონენტის ჩართვა პროცესს უფრო ეფექტურს გახდის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე უწყვეტი, თანამედროვე, მოქნილი, ეფექტური და იაფი სწავლების განხორციელებისთვის დისტანციურ სწავლებას დიდი პოტენციალი აქვს.

### **დისტანციური სწავლების (ADL) დანერგვის მიზნები და ამოცანები**

თავდაცვის ძალებში დისტანციური სწავლების დანერგვის, მისი გამოყენების და განვითარების მთავარი მიზანია შეიქმნას ხარისხიანი, თანამედროვე და მოქნილი სწავლების მიწოდების საშუალება, რომელიც დაფუძნებული იქნება თანამედროვე ტექნოლოგიებსა და დისტანციური სწავლების პრინციპებზე.

თავდაცვის ძალებში დისტანციური სწავლების დანერგვის მიზნებს წარმოადგენს:

- სამხედრო მოსამსახურეების და სამოქალაქო პერსონალის განათლებისა და კვალიფიკაციის დონის ამაღლება;
- ცოდნის შენარჩუნება და გაღრმავება - საერთაშორისო პრაქტიკისა და გამოცდილების მიხედვით, სწავლების ტრადიციულ მეთოდებთან შედარებით დისტანციური სწავლება დაგროვებული ცოდნის შენარჩუნების მაჩვენებელს ზრდის.<sup>2</sup> ამასთანავე იძლევა საშუალებას იუნკერმა/მსმენელმა გაიღრმავოს ცოდნა და მიიღოს მრავალმხრივი ინფორმაცია;
- განათლების მიღების ხელმისაწვდომობის ზრდა - დისტანციური სწავლების დანერგვა სამხედრო საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებასაც შეუწყობს ხელს. პირველ რიგში, აღსანიშნავია კურსის მონაწილეების რაოდენობის ზრდის შესაძლებლობა. აღნიშნული კუთხით, დისტანციური სწავლების უპირატესობა პირდაპირ ეხმიანება სამოქალაქო პერსონალის მართვის სისტემის განვითარების სტრატეგიაში თანამშრომელთა პროფესიული ზრდის პროცესში დაფიქსირებულ გარემოებას - „როდესაც მონაწილეთა რაოდენობა აჭარბებს სასწავლო პროგრამების რაოდენობას ან ადგილი აქვს ფინანსური რესურსის შეზღუდვას,

---

<sup>2</sup> John Dexter Fletcher. *The Advanced Distributed Learning (ADL) Vision and Getting From Here to There*. No. IDA/HQ-D-3212. INSTITUTE FOR DEFENSE ANALYSES ALEXANDRIA VA, 2005.

აუცილებელი [გა]ხდება სასწავლო პროგრამებში მონაწილეთა პრიორიტეტიზაცია დეპარტამენტების საჭიროებათა მიხედვით.<sup>3</sup> გარდა ამისა, დისტანციური სწავლების დახმარებით კურსის მონაწილეებს ნებისმიერ დროს, ნებისმიერი ხელსაყრელი მოწყობილობით (იქნება ეს ლეპტოპი, ტაბლეტი თუ მობილური ტელეფონი) ექნებათ კურსის მასალებზე წვდომის შესაძლებლობა. გამომდინარე აქედან, დისტანციური სწავლება მონაწილეებს საშუალებას მისცემს სწავლის მიმდინარეობა სხვადასხვა ტემპით, ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და ხელმისაწვდომობის შესაბამისად დაგეგმონ.

- სწავლების რენტაბელობა - დისტანციური სწავლების დანერგვის კიდევ ერთი უპირატესობა მისი რენტაბელობაა. დისტანციური სწავლების საშუალებით შესაძლებელია, როგორც დროის, ასევე ფინანსური და ადამიანური რესურსების დაზოგვა. ამ მხრივ აღსანიშნავია ისეთი მრავალჯერადი ფინანსური ხარჯების თავიდან არიდება, როგორცაა განთავსება, კვება, მგზავრობა და აკადემიური პერსონალისთვის განკუთვნილი ანაზღაურება. ამას გარდა, საერთაშორისო კვლევებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ რიგ შემთხვევებში სწავლების ტრადიციულ მეთოდებთან შედარებით დისტანციური სწავლება ზოგავს მსმენელის დროსაც.<sup>4</sup> აღსანიშნავია ისიც, რომ დისტანციური სწავლება არ მოითხოვს კურსის მონაწილეთა სამუშაოდან მოწყვეტის აუცილებლობას.
- ნატოს სწავლების სტანდარტებთან მიახლოება - თანამედროვე მნიშვნელობიდან გამომდინარე დისტანციური სწავლების დანერგვა კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება ნატოს სწავლების სტანდარტებთან საქართველოს თავდაცვის ძალების თავსებადობის ამაღლების გზაზე. ასევე, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დისტანციური სწავლება ხელს შეუწყობს საერთაშორისო სწავლებებისთვის და მისიებისთვის მზადყოფნის დონის ამაღლებას.

დასახული მიზნების განხორციელებისთვის შესაძლებელია შემდეგი ძირეული ამოცანების იდენტიფიცირება:

<sup>3</sup> სამოქალაქო პერსონალის მართვის სისტემის განვითარების სტრატეგია, 2013. გვ 15

<sup>4</sup> *Ibid, op. cit*, Fletcher

1. სასწავლო-მეთოდური, საინფორმაციო და საკომუნიკაციო, მატერიალურ-ტექნიკური, ფინანსური, საკანონმდებლო, ორგანიზაციული და საკადრო საკითხების გადაჭრა და უზრუნველყოფა;
2. სამინისტროს ყველა დონეზე დისტანციური სწავლების პრეზენტირების გზით დისტანციური სწავლების ცნობადობის ამაღლება-პოპულარიზაცია და საჭიროებების შესწავლა;
3. თავდაცვის ძალების მოთხოვნების შესაბამისი დისტანციური კურსების შექმნა;
4. დისტანციური სწავლების ფრაგმენტული გამოყენებიდან სისტემურ გამოყენებაზე გადასვლა;
5. კონფიდენციალურობისა და უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფა.

ჩამოთვლილი ამოცანებიდან უპირანი იქნება, თუ რამოდენიმე მათგანს უფრო დეტალურად მიმოვიხილავთ.

**საკანონმდებლო უზრუნველყოფა** მოიცავს შემდეგ ნორმატიულ და საკანონმდებლო რეგულაციებს:

- არსებული და დისტანციური სწავლების ურთიერთთავსებადობის რეგულაცია;
- დისტანციური სწავლებისთვის შემუშავებულ მასალებსა და მეთოდოლოგიაზე საავტორო უფლებების რეგულაცია;
- დისტანციური სწავლების რესურსებზე მათ შორის კონფიდენციალურ მასალებზე წვდომის მარეგულირებელი რეგულაცია;
- რესურსების ავტორების ფინანსური ინტერესების მარეგულირებელი რეგულაცია.

**სასწავლო-მეთოდური უზრუნველყოფა** მოიცავს :

- სასწავლო მასალების დამუშავებას დისტანციური სწავლებისთვის, უცხოელი პარტნიორების გამოცდილების გაზიარებას (მაგ: NATO Handbook);
- თანამშრომლობა მულტილატერალურ და ბილატერალურ პარტნიორებთან, მაგ: ALD Global partnership, NTG IT&ED, PfPC ADL working group, Deep;

- მასწავლებლების დატრენინგება (Train The Trainer);
- საგნის ექსპერტების დატრენინგება;
- სასწავლო მასალების მომზადება დისტანციური სწავლების თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით.

**საინფორმაციო და საკომუნიკაციო უზრუნველყოფა მოიცავს:**

- დისტანციური სწავლების კურსების შექმნისთვის საჭირო კომპიუტერულ-ტექნიკური უზრუნველყოფა;
- დისტანციური სწავლების კურსების შექმნისთვის საჭირო პროგრამული უზრუნველყოფა;
- სასწავლო რესურსის უსაფრთხო და უწყვეტი მუშაობის გამართვა და უზრუნველყოფა;
- სასწავლო რესურსებთან უწყვეტი კავშირის უზრუნველყოფა ნებისმიერი წერტილიდან;
- მასალების უსაფრთხო რეზერვირებისთვის საჭირო სისტემებით უზრუნველყოფა;
- ვიდეო ლაბორატორიით უზრუნველყოფა-ვიდეო, აუდიო და ფოტო მასალის შესაქმნელად საჭირო ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფა;
- ვიდეო კონფერენციების და ვებინარების განხორციელებისათვის საჭირო ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფა.



## დისტანციური სწავლების ცენტრის ფუნქციები

დისტანციური სწავლების ცენტრი უზრუნველყოფს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში სასწავლო პროცესის უწყვეტად და ხარისხიანად წარმართვას, ასევე კოორდინაციას უწევს თავდაცვის ძალებში დისტანციური სწავლების შესაძლებლობების განვითარებასა და უცხოელი პარტნიორების მიერ გამოცდილების გაზიარების მიღებას. ცენტრი განავითარებს LMS (სწავლების მართვის სისტემა) პლატფორმას. მხარდაჭერას გაუწევს თავდაცვის ძალების სტრუქტურულ ერთეულებს და მათი საჭიროებების გათვალისწინებით შექმნის სხვადასხვა გვარეობების, საგნების დისტანციურ კურსებს. ასევე განხორციელებს სპეციალისტების, მასწავლებლების და საგნის ექსპერტების გადამზადებას (Train the Trainer).

LMS (სწავლების მართვის სისტემა) პლატფორმის განვითარება მოიცავს:

- პლატფორმის მუშაობას უწყვეტი ხელმისაწვდომობის პრინციპით;
- პლატფორმის ინტერფეისის გამართვას;
- სასწავლო პლატფორმის გამართულ და უსაფრთხო მუშაობას.

დისტანციური კურსის შექმნა მოიცავს მთელ რიგ ფუნდამენტურ სამუშაოებს, როგორცაა მაგალითად: საგნის შესაბამისი ექსპერტის მოძიება, კურსის მასალების (მათ შორის ტექსტური, გრაფიკული, ვიდეო და აუდიო) შექმნა-დამუშავება, დისტანციური კურსის შექმნა, პილოტირება და სასწავლო პლატფორმაზე ატვირთვა.

კურსის განვითარება და მომსახურება მოიცავს:

- მონაწილეების შედეგების ამოღებას, მათ დამუშავებას და უფლებამოსილ დაინტერესებულ პირებზე მიწოდებას;
- კურსების შინაარსის ცვლილებას თანამედროვე გამოწვევების მიხედვით;
- მონაწილეთა სტატისტიკის ანალიზს - xAPI (Experience Application programming Interface).

თავდაცვის ძალებში ცენტრი განახორციელებს შიდაუწყებრივ კვლევებს ახალი საჭიროებების გამოსავლენად და კვლევების საფუძველზე შექმნის ახალ კურსებს ან განახლებებს არსებულს.

დისტანციური სწავლების ცენტრი კოორდინაციას გაუწევს სამინისტროს მასშტაბით ამ მიმართულებით მომუშავე ჯგუფებს, დაეხმარება მათ ცენტრის ბაზაზე არსებული ტექნიკური საშუალებებითა და სპეციალისტების მომსახურებით.

### **თავდაცვის ძალებში დისტანციური სწავლების ცენტრის შექმნისთვის საჭირო პირველადი სამუშაოები**

დისტანციური სწავლების ცენტრის შექმნისთვის პირველ რიგში გასატარებელია სამუშაოები:

- თავდაცვის ძალების და ეროვნული თავდაცვის აკადემიის დონეზე მიზნების დასახვა, რათა ზუსტად და ნათლად განისაზღვროს დისტანციური სწავლების დანერგვისა და განვითარების პროცესი;
- სამუშაო ჯგუფის დაკომპლექტება და გადამზადება;
- შიდაუწყებრივი კონსულტაციების გამართვა. აღნიშნული კონსულტაციები ხელს შეუწყობს კომუნიკაციასა და სამუშაო პროცესის ეფექტურობას. ასევე შესაძლებელი გახდება თავდაცვის ძალებში სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების როლების განსაზღვრა დისტანციური სწავლების განვითარებაში.
- პარტნიორებისგან მხარდამჭერი მიმართულებების ჩამოყალიბება;
- ტექნიკური საკითხების გადაჭრა - სამუშაო სივრცის გამოყოფა-მოწყობა და შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფა;
- ვიდეო ლაბორატორიის მოწყობა;
- საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება.

## საწყისი სამუშაოების სტრუქტურა

აქტივობა	პასუხისმგებელი
თავდაცვის ძალების დონეზე მიზნების დასახვა	<ul style="list-style-type: none"> <li>- თავდაცვის ძალების დროებითი სამუშაო ჯგუფი</li> <li>- ეროვნული თავდაცვის აკადემია</li> </ul>
შიდა უწყებათაშორისი კონსულტაციების გამართვა	<ul style="list-style-type: none"> <li>- თავდაცვის ძალების დროებითი სამუშაო ჯგუფი</li> <li>- ეროვნული თავდაცვის აკადემია</li> </ul>
სტრუქტურულ დონეზე როლების განსაზღვრა	<ul style="list-style-type: none"> <li>- თავდაცვის ძალების დროებითი სამუშაო ჯგუფი</li> <li>- ეროვნული თავდაცვის აკადემია</li> </ul>
სამუშაო სივრცის გამოყოფა-მოწყობა	<ul style="list-style-type: none"> <li>- ეროვნული თავდაცვის აკადემია</li> </ul>
მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფა	<ul style="list-style-type: none"> <li>- ეროვნული თავდაცვის აკადემია</li> </ul>
პარტნიორებისგან მხარდაჭერის მიმართულებების განსაზღვრა	<ul style="list-style-type: none"> <li>- ეროვნული თავდაცვის აკადემია</li> <li>- თავდაცვის ძალების შესაბამისი სამსახურები</li> </ul>
საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება	<ul style="list-style-type: none"> <li>- ეროვნული თავდაცვის აკადემია</li> <li>- თავდაცვის ძალების შესაბამისი სამსახურები</li> </ul>

### დისტანციური სწავლების განვითარების პოტენციური მიმართულებები

დისტანციური სწავლების განვითარებისთვის აუცილებელია განისაზღვროს თავდაცვის ძალების/ეთა-ს აქტუალური მიმართულებები. ამ მხრივ უპრიანი იქნება რამოდენიმე პირობითი მიმართულებების ჩამოყალიბება, მაგალითად:

- თავდაცვის ძალების სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულებისთვის მათი საჭიროებების შესაბამისი კურსების შექმნა;
- თავდაცვის ძალებში არსებული საკარიერო და პროფესიული განვითარების კურსებისთვის წინამოსამზადებელი პროგრამების შექმნა;

- ე.წ. “micro learning” კურსების მომზადება სამხედროებისთვის. აღნიშნული კურსები შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც აკადემიის იუნკერების და პერსონალის მიერ, ასევე საქართველოს თავდაცვის ძალებში;
- გამომდინარე იქედან, რომ ეთა-ში აქტიურად მიმდინარეობს იუნკერების/მსმენელების გაცვლითი პროექტები ნატოს წევრი ქვეყნების თავდაცვის უმაღლესი სასწავლებლების კადეტებთან/მსმენელებთან. ეროვნული თავდაცვის აკადემიისთვის მნიშვნელოვანია ინგლისურ ენაზე კურსების შექმნა, რათა იუნკერებმა სრულფასოვნად შეძლონ გაცვლით პროექტებში მონაწილეობა;
- უცხო ენების კურსები - საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით დისტანციური სწავლების კურსების დამატება უფრო ეფექტურს ხდის უცხო ენების ტრადიციულ კურსებს;
- იმის გათვალისწინებით, რომ რეგიონალური მასშტაბით საჯარო სკოლები აქტიურად იყენებენ სამოქალაქო თავდაცვის არჩევით კურსს, შესაძლებელია, რომ მისი რიგი კომპონენტები მხარდაჭერილ იქნას ეროვნული თავდაცვის აკადემიის დისტანციური სწავლების ცენტრის მიერ მომზადებული დისტანციური კურსებით;
- რეზერვის მომზადების სისტემისთვის შეიქმნას შესაბამისი კურსები, რაც კიდევ უფრო აამაღლებს რეზერვის მომზადების დონეს.

### ფინანსური სტრუქტურა

საწყის ეტაპზე შესაძლებელია ზოგადი სახით განისაზღვროს ხარჯების შემდეგი მიმართულებები:

- კომპიუტერული ტექნიკა;
- პროგრამული უზრუნველყოფა;
- ძირითადი შტატის სახელფასო ფონდი;
- მოწვეული საგნის ექსპერტების ანაზღაურება;
- სამივლინებო ხარჯები.

## მოსალოდნელი შედეგები

გამომდინარე იქიდან, რომ დისტანციური სწავლება ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის სამხედრო პერსონალის გადამზადების ინტეგრალური ნაწილია, მისი დანერგვა ხელს შეუწყობს საქართველოს თავდაცვის ძალების ნატოს სწავლების სტანდარტებთან მიახლოებას.

ამასთან ერთად, სწავლების ამგვარი თანამედროვე მეთოდების დანერგვა გააუმჯობესებს საქართველოს თავდაცვის ძალების სამხედრო მოსამსახურეთა საერთაშორისო სწავლებებისთვის და მისიებისთვის მზადყოფნას.

მოსალოდნელია, რომ დისტანციური სწავლების განვითარება ხელს შეუწყობს, როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო განათლების დონის ამაღლებას თავდაცვის ძალებში. მოსალოდნელია თავდაცვის ძალებში სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლების პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლებაც.

დისტანციური სწავლების კურსები აღმოფხვრის კურსის მონაწილეთა რაოდენობის შეზღუდვის საკითხს და შედეგად თავდაცვის ძალები მიიღებს უფრო მეტ პროფესიონალ კადრს. აღსანიშნავია ისიც, რომ დისტანციური კურსები საშუალებას იძლევა მონაწილეებს ჰქონდეთ მუდმივი წვდომა კურსის მასალებზე, რაც მათ ცოდნის გაღრმავებასა და შენარჩუნებაში დაეხმარება.

საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ დისტანციური სწავლება კურსების თვითღირებულებას გრძელვადიან პერსპექტივაში რამოდენიმეჯერ შეამცირებს.

ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში დისტანციური სწავლების ცენტრის განთავსება და მისი საქმიანობის აკადემიაში მიმდინარე სასწავლო პროცესში აქტიურად ჩართვა, საბაკალავრო და სამაგისტრო დონეზე, ხელს შეუწყობს სამხედრო/სამოქალაქო სასწავლო კომპონენტების სწავლების ეფექტიანობის ამაღლებას.

აღნიშნულთან ერთად, სოციალური პროექტების დანერგვა გაზრდის ეროვნული თავდაცვის აკადემიისა და თავდაცვის ძალების ცნობადობასა და პრესტიჟს. საერთო

ჯამში შეიძლება ითქვას, რომ დისტანციური სწავლების დანერგვა საქართველოს თავდაცვის ძალებში გააუმჯობესებს საგანმანათლებლო აქტივობების ხელმისაწვდომობას, აამაღლებს პერსონალის პროფესიულ დონეს და ხელს შეუწყობს დროისა და ფინანსური რესურსის დაზოგვას.

### ამოცანები და აქტივობები

ამოცანა	აქტივობა	თარიღი
კონცეფციის შემუშავება, იმპლემენტაცია	<ul style="list-style-type: none"> <li>• დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნა;</li> <li>• უცხოელი პარტნიორების გამოცდილების გაზიარება;</li> <li>• კონცეფციის შემუშავება და დამტკიცება.</li> </ul>	2020-2021
დისტანციურისწავლების ცენტრის დაარსება	<ul style="list-style-type: none"> <li>• საშტატო სტრუქტურაში ცვლილებების შეტანა - ახალი შტატის დამტკიცება;</li> <li>• საგნის ექსპერტების მოძიება, ცენტრის დაკომპლექტება;</li> <li>• ცენტრის სპეციალისტების გადამზადება;</li> <li>• უცხოელი პარტნიორებისგან მხარდაჭერი მიმართულებების განსაზღვრა-შესაბამისი მხარდაჭერა;</li> <li>• საჭირო რესურსების მოძიება;</li> <li>• ვიდეო ლაბორატორიის მოწყობა-ტექნიკური აღჭურვა.</li> </ul>	2020-2021
თავდაცვის ძალებში დისტანციური სწავლების განვითარების სტრატეგიის შემუშავება	<ul style="list-style-type: none"> <li>• დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნა;</li> <li>• დაინტერესებულ მხარეებთან ცენტრის მიერ პრეზენტაციების ჩატარება;</li> <li>• SWOT ანალიზი;</li> <li>• შიდაუწყებრივი კონსულტაციები;</li> <li>• სტრატეგიული მიზნების და ამოცანების ფორმირება;</li> <li>• კურსების განსაზღვრა პრიორიტეტების მიხედვით;</li> <li>• სტრატეგიული განვითარების გეგმის</li> </ul>	2021

	<p>შესრულების მონიტორინგის მექანიზმების შემუშავება;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>● მონიტორინგის ჯგუფის შექმნა.</li> </ul>	
სასწავლო პროცესში დისტანციური სწავლების კომპონენტის ინტეგრირება	<ul style="list-style-type: none"> <li>● თავდაცვის ძალებში შესაბამისი სპეციალისტების მომზადება;</li> <li>● პრიორიტეტული კურსების შექმნა</li> <li>● კურსების პილოტირება;</li> <li>● კურსების დაწყება.</li> </ul>	2021-2022
LMS (სწავლების მართვის სისტემა) პლატფორმის გამართვა;	<ul style="list-style-type: none"> <li>● ვებ რესურსების მოძიება;</li> <li>● შერჩეული პლატფორმის დაინსტალირება და მისი პარამეტრების კონფიგურირება;</li> <li>● ვიდეო კონფერენციების ფუნქციის ინტეგრირება შერჩეულ პლატფორმაზე.</li> </ul>	2021
სასწავლო პროცესის განვითარება	<ul style="list-style-type: none"> <li>● კურსების პირველადი შედეგების გაანალიზება;</li> <li>● მიმდინარე კურსების განახლება;</li> <li>● მოთხოვნის შესაბამისი კურსების შექმნა;</li> <li>● დისტანციური სწავლების ცენტრის სპეციალისტების პროფესიული გადამზადება;</li> </ul>	2023 - 2025
მოსამზადებელი კურსების შექმნა საერთაშორისო სწავლებებისა და მისიებისთვის	<ul style="list-style-type: none"> <li>● პრიორიტეტული კურსების განსაზღვრა;</li> <li>● შესაბამისი სპეციალისტების მოძიება/გადამზადება;</li> <li>● საჭირო რესურსებით უზრუნველყოფა;</li> <li>● უცხოელი ექსპერტების ჩართულობა;</li> <li>● საერთაშორისო კურსების შემუშავება-განხორციელება.</li> </ul>	2024-2025
<u>მონაწილეთა სტატისტიკის ანალიზის სისტემის დანერგვა - xAPI (Experience API-Application Programming Interface)</u>	<ul style="list-style-type: none"> <li>● პროგრამის შესაბამისი სპეციალისტის მოძიება;</li> <li>● სისტემის ტექნიკური უზრუნველყოფა-გამართვა;</li> <li>● სისტემის სასწავლო პროცესში ინტეგრირება;</li> <li>● ადაპტირებული კურსების-ტესტების შექმნა, პილოტირება და სასწავლო-საგამოცდო პროცესში ჩართვა.</li> </ul>	2025-2026

## ბიბლიოგრაფია:

- საქართველოს ეროვნული სამხედრო სტრატეგია, 2014. (ბოლო ნახვა 29.03.2021), <https://mod.gov.ge/uploads/2018/pdf/NMS-GEO.pdf>;
- Fletcher, John Dexter. The Advanced Distributed Learning (ADL) Vision and Getting From Here to There. No. IDA/HQ-D-3212. INSTITUTE FOR DEFENSE ANALYSES ALEXANDRIA VA, 2005.
- სამოქალაქო პერსონალის მართვის სისტემის განვითარების სტრატეგია, 2013. (ბოლო ნახვა 29.03.2021), <https://mod.gov.ge/uploads/2018/pdf/SamoqalaqoPersonalismartviskoncefcia.pdf>